



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/71

ქ. თბილისი


27 ნოემბერი 2018

უნივერსიტეტის სპორტული დარბაზების, თეატრ-სტუდია „მოდინახეს“ დარბაზისა და საკონფერენციო დარბაზების მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2018 წლის 8 ნოემბრის №05-01/65 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 ნოემბრის №01-06-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. განისაზღვროს სტუ-ის სპორტული დარბაზების, თეატრ-სტუდია „მოდინახეს“ დარბაზისა და საკონფერენციო დარბაზების მომსახურების საფასური წარმოდგენილი დანართის შესაბამისად;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გაბაშვილი